

საქართველოს უნივერსიტეტი
UNIVERSITY OF GEORGIA



10/01/2012

ქ. თბილისი

ბრძანება № 01/12

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის
გამოცხადების შესახებ

საუნივერსიტეტო წესდებით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (საუნივერსიტეტო წესდების თავი III, მუხლი 10,) "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად საქართველოს უნივერსიტეტის შემდეგ სკოლებში:

1.1 საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა

- სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობა შემდეგი მიმართულებებით:
 - ფიზიკა (1 ვაკანსია)

2. წარმოსადგენ დოკუმენტაციად დადგინდეს:

- საქართველოს უნივერსიტეტის აპლიკაციის ფორმა შევსებული ქართულ და ინგლისურ ენებზე (აპლიკაციის ფორმა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.ug.edu.ge);
- განაცხადი საკონკურსო კომისიის სახელზე - იმ ვაკანსიის მითითებით, რომელზეც განაცხადს აკეთებს აპლიკანტი (განცხადების ფორმა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.ug.edu.ge);
- ფოტოსურათი (ზომით 3X4);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- აკადემიური ხარისხის (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი ან მათთან გათანაბრებული) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხოეთში გაცემული (ან არაქართულენოვანი) დიპლომი უნდა იყოს ნათარგმნი ქართულ ენაზე. უცხოეთში მიღებული კვალიფიკაცია აღიარებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და თარგმანი - დამოწმებული ნოტარიულად);
- ცნობა პედაგოგიური/სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების შესახებ;
- სამოტივაციო წერილი;
- ორი სარეკომენდაციო წერილი;

- საგნის სილაბუსი (ფორმა განთავსდეს ვებ-გვერდზე www.ug.edu.ge);
- ლექციის გეგმა (ფორმა განთავსდეს ვებ-გვერდზე www.ug.edu.ge);
- გამოქვეყნებული შრომების სია და ასლები (წარმოსადგენია გამოქვეყნებული შრომების სრული ნუსხა. წიგნები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები გამოცემული სახით ან ასლები და მხოლოდ ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამოქვეყნებული სტატიების ასლები);

* წარმოდგენილ იქნეს საბუთების ნაბეჭდი და ელექტორული ვერსიები.

3. კანდიდატების მიმართ დადგენილ იქნეს შემდეგი მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები:

ძირითადი კრიტერიუმები

- 3.1 აკადემიური ხარისხი (სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.);
- 3.2 სამეცნიერო/პედაგოგიური საქმიანობა (6 წელი სრული პროფესორისათვის);
- 3.3 სამეცნიერო პუბლიკაციები;
- 3.4 უცხო ენის ცოდნა (უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენას);
- 3.5 ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა.

დამატებითი კრიტერიუმები

- 3.6 სამეცნიერო კონფერენციებში/სემინარებში მონაწილეობა;
- 3.7 სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;
- 3.8 პროფესიული განვითარება;
- 3.9 სილაბუსი საგანში, რომლის წასაკითხადაც კანდიდატს აქვს წარდგენილი განაცხადი;
- 3.10 სამეცნიერო/პროფესიული ასოციაციების წევრობა.

4. საკონკურსო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, დაევალოს კანდიდატს საჯარო ლექციის ჩატარება.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს 2012 წლის 10 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით, სამუშაო დღეებში 10⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე, მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №77ა, III კორპუსი, ოთახი №511.

5. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 26 და 27 მარტს

6. საჩივრებისა და პრეტენზიების მიღების დღედ დადგინდეს 2012 წლის 28 მარტი

7. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს 2012 წლის 30 მარტს

8. საკონკურსო განცხადება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, www.ug.edu.ge და www.jobs.ge-ზე.

9. ბრძანება ძალაშია ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი, პროფესორი



მ. სანაძე